

## ვაჟას ფსევდონიმები

ვაჟა პირველ ხანებში „რაზი კოვ“-ად იწერებოდა. გვარის რუსული დაბოლოვება შოწაფეობის პერიოდში მას ძალიან მოსწონდა. „იქნებ შეურაცხყოფადაც კი მიმელო თუ ვინმე რაზიკაშვილს დამიძახებდა, ასე ძვირფასად მიმაჩნდა ჩემი დაბოლოვება „ოვი“-თო“, — ამბობს ის.

როდესაც ვაჟამ პირველად თავისი კორესპონდენციებით დაიწყო სამწერლო ასპარეზზე გამოსცლა, ამათ ინიციალებით „რაზიკოვს“ აწერდა. მაგ. პირველი მისი კორესპონდენცია „წერილი ხელშეტიღამ“. („დროება“ 1879 წ. № 11) ხელმოწერილია ასე: ლ. რაზ-ვი. მეორე კორესპონდენცია (იმავე წლის „დროება“ № 52) „ფშავის ხევიდამ“ ლ. რ-ზ. და ა. ჭ.

1881 წ. ვაჟა გარდა ამისა ფსევდონიმად ხმარობდა თავისი გვარის ქართული დაბოლოების ინიციალებს ლ. რ-ზ-კ-ლი. ასეთი ხელმოწერით ბეჭდავდა ის ლექსებს „იმედში“, თუმცა მის პარალელურად ხემოსენებულ ფსევდონიმებსაც ხმარობდა.

1880 წ. ვაჟა თავის ნაწერებს ზოგჯერ ნამდვილ გვარსაც აწერდა.

1885 წ. ხელმოწერა „ვაჟა-ფშაველა“-ს ფსევდონიმით დაიწყო. ამ ფსევდონიშის დარქმევის შესახებ, გ. შამანაური თავის შოგონებაში სწერს: „პირადად ჩემთვის ვაჟას არ უთქვამს თუ საიდან ან როგორ დაირქო მან „ვაჟა-ფშაველა“, მაგრამ განსცენებულმა დიმიტრი ცისკარაშვილმა (თუში), რომელიც ოელავის სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორად იყო დიდხანს, შემდეგი მიამბო: „პეტერ ბურგში, სადაც ვაჟა უნივერსიტეტში თავისუფალ მსმენელად იყო, ყველა სტუდენტის ცენტრალურ ფიფურას ვაჟა წარმოადგენდა და რაღაც პიეტრუ ნიკოლა, ამხანაგების შეთვისებასთან და სხვა დადებით თვისებებთან ერთად, ვაჟას მკლავიც უჭრიდა, ჩვენ მცს ხშირად შექებით ვეუბნებოდით: „ვაჟი ხარ, ლუკავ, ვაჟი ხარ, ვაჟი, ფშაველი! (მთაში ვაჟს ყოჩალს, გამბედავს, გულადს ეძახიან) და აიქედან აიღო მან თავისი ფსევდონიმი „ვაჟა-ფშაველა“.

ამ ცნობის სინამდვილეს ადასტურებს ვაჟას ახლობელი შეგვებულები ბარი ივ. ბუქურაულიც, რომელიც თვით ვაჟას შეკითხვია ცისკარა-შვილის ცნობის შესახებ. იმასაც დასტური მიუწია: „ვაჟა-ფშაველა“ მიტო (დიმიტრი ცისკარაშვილმა) დამარქვა და მეც ფსევდონიმად ვიხმარეო“.

ამ ფსევდონიმის პარალელურად ხანდახან ვაჟას სხვა ფსევდონიმებითაც უწერია, უმთავრესად კორესპონდენციები. ვაჟას ფსევდონიმები სხვადასხვა დროს ყოფილა:

1. ლ. რ.
2. ლ. რაზვი,
3. ლ. რ-ზ.
4. ლ. ზარათელი.
5. მგელა ხინქალჭამიაშვილი.
6. მწირია.
7. ქულაკა გოგოჭური.
8. ფშაველა ვეფხვაიძე.
9. ლ. რ-ზ-კ-ლი.
10. ვაჟკაცი.
11. ვა ფ-ლი.
12. იქაური.
13. ბ-ლი.
14. ლ. კათაკმეველი<sup>1</sup>.
15. ველაფშა
16. ქავა<sup>2</sup>.

რა თქმა უნდა, ეს სია არ შეიძლება ამომწურავი იყოს, ღამე-ჯითებით არც იმის თქმა შეიძლება ჯერ, რომ ყველა ეს ფსევდონი-მები უდავოდ ვაჟასი . იყოს. მომავალში, როცა ამ მიმართულებით კვლევა-ძიება გალრმავდება, ამ სიას, ალბათ, ზოგი მათგანი გამოაკლ-ლება და ზოგიც დაემატება.

<sup>1</sup> ვაჟა „კათაკმეველის“ ფსევდონიმით სწორდა ერწოში მასწავლებლად ყოფ-ნის დროს (იხ. მისი წერილი აქვე გვ. 278).

<sup>2</sup> პირველი 13 ფსევდონიმი გამოარკვია ალ. აბაშელი მ ა და თ. სახო-კია მ.

## ვაჟას იუბილე

ვაჟას სამწერლო ასპარეზზე 35 წ. იუბილეს გამართვის საკითხი პირველად მწერალმა გან დეგილ მა წამოაყენა 1913 წ. ამ საკითხის შესახებ მან წერილი დაბეჭდა გაზ. „სახალხო გაზეთი“-ს 821 №-ში, წერილს გამოიხმაურა სხვა რედაქციიებიც. მაგ. განდეგილის წერილი გადაბეჭდა „ოქმი“-ს რედაქციაზ (№ 111) და თან შენიშვნა გაუკეთა: „ჩვენის მხრით სულით და გულით ვუერთდებით პატივცემულ მწერალ ქალის მოწოდებას და ვუძღვნით ამ საგანს ცალკე წერილს“.

ამავე ნომერში დაბეჭდილია აკაკი ცის ცნობილი ლექსი ვაჟასადმი მიძღვნილი. მართლადაც „ოქმის“ რედაქციამ იმავე წლის 113 №-ში მოათავსა იუბილეს შესახებ „ვინმე ფშაველას“ წერილი, რომელიც თანაგრძნობით ხვდებოდა ვაჟას პატივსაცემად დილის გამართვას. ამავე საკითხის შესახებ თებერვალში ქართველი კულტურის მოყვარული საზოგადოების უკანასკნელმა ქრებაშ დაადგინა: „საზოგადოების საპატიო წევრად აირჩიოს მგოსანი ვაჟა-ფშაველა, რომელსაც წელს 35 წლისთავი შეუსრულდა, გამართოს მოკლე ხანში საზოგადოების საჯარო ქრება, რომელზედაც უნდა წაიკითხონ რეფერატები მგოსნის პოეზიისა და პიროვნების შესახებ, აღებული ფულით გამოსცეს ვაჟა-ფშაველას ნაწარმოები და ამ აზრის განხორციელება მიანდოს საზოგადოების საბჭოს, რომელიც თავის მხრივ მიიწვევს მწერალს განდეგილს, სახალხო სახლის რეკისორს ალ. წუწუნავას და სხვებს“ (სახ. გაზეთი 1913 წ. № 830).

მაგრამ, როგორც ჩანს, რაღაც მიზეზების გამო ეს დილა არ გამართულა.

1915 წ. აპრილის პირველ რიცხვებში ავადმყოფი ვაჟა ჩამოვიდა ტფილისში.

„ჩარგლიდან ჩამოსული ვერის დაღმართან შემხვდა, — ვადმოვცემს ალ. რაზიკ კული, — ტფილისის სადგურიდან ფეხით წამოსულიყო. ნაბადი ჰქონდა მოხვეული, მხარხე კი ხურჯინი ჰქონდა გადაკიდებული. გაგვიხარდა ორთავეს ერთმანეთის ნახვა, გადავეხვიერ და დავკოცნეთ ერთმანეთი. გამოვართვი ხურჯინი, ნაბადი კი არ მომცა, რადგან ისევ ავადა ვარო მითხრა და ვაი თუ გაცივდეო.

წამოვედით სახლში. ერთმანეთი რომ მოვიკითხეთ, სხვათა შორის კვითხე მისი ჩამოუსცლელობის მიზეზი იმ ზამთარს აკაკის დასაფლავებაზე.—აქ ათასი ჭორი გაავრცელეს-მეოქტე, ვუთხარი ვაჟას,—თითქოს შენა და აკაკის ერთმანეთი გძულდათ და ვითომ შენც იმისათვის არ ჩამოხვედი იმის დასაფლავებაზე.

ამის გაგონება ვაჟას ძალიან ეწყინა და გაჯავრებულმა წამოიძახა: „ვერ უყურებ მაგ უსეინდისოებს, რა მოუგონიათ? რა მქონდა აკაკისთან გასაყოფი, ან კიდევ საჯავრებელი? მე ვაჟა-ფშაველა ვარ და ის კი აკაკიაო.

ძმაო, დაიჯერე, აი ხომ პხედავ როგორა ვარ?

იმ დროს, როდესაც ტფილისიდან დეპეშა მომივიდა, ლოგინში ვიწევ, ფილტვების ანთება მქონდა. იი ეს გვერდი ეხლაცა მტკიფა. ან კი როგორ გადავრჩი ცოცხალი. აბა შენვე მითხარ, თუ ძმა ხარ, ეს ავაღმყოფი კაცი სად უნდი წამოვსულიყავი”. (ალ. რაზიკაშვილის მოგონებიდან)<sup>1</sup>.

ამავე ხანებში ვაჟა-ფშაველას პატივისმცემელთა ერთმა ჯვეულმა გადასწყვიტა სალიტერატურო დილის გამართვა დიდი პოეტის პატივისაცემად. დილა უნდა გამართულიყო აპრილის 26-ს, მაგრამ რაღვანაც ამ დღისთვის დანიშნული იყო ნიკო ლომოურის ცხედრის

<sup>1</sup>. აკაკის დასაფლავების ამბები მიხ. ლობჟანიძეს კერძო წერილით უცნობებია ვაჟასთვის, რომლის საპასუხოდაც უკანასკნელს შემდეგი წერილი მიუწერია:

### ძმაო მიშა!

შენი წერილი გვიან მივიღე და ამის გამო პასუხსაც გვიან გაძლევ. მოკითხვისათვის დიდად გმადლობ პირადად შენ და აგრეთვე გთხოვ, ჩემი უზულითადესი მაღლობა მოკითხვისათვის ბატონიშვილს, ელისაბედ არბელიანისას.

აკაკის დაკრძალვა დიდებული იყოვთ—მწერ. დარწმუნებული ვარ, ფიცი არაა საჭირო: ჩვენის მოღვაწების დამარხვაში ქართველები დიდ ნიჭება და უნარს ვიტენ, მხოლოდ სიცოცხლის დროს იმათ დაფასების უნარისა რა მოგახსენ; ჩემთვის, მაგალითად, დასაკრძალავი ალაგი ოცი წელია მას შემდეგ რაც აიჩინა, დანიშნა და შემოფარგლა, ხოლო ამ ოცი წლის განმავლობაში სად, როგორ გცხოვობ, არავინ არ იცის. ასეა, რა გაეწყობა, ყველაფერს დრო და გამოცდილება უშეველის და გაასწორებს მოუდევდ ნაჩირგნს საქმეს...

რანდახან რო წერილი შომაწოდო და მანდაური ამბავი შემატყობინო, ურიგოს არ იზამ.

მშევიდობით და გამარჯვებით იმყოფებოდე

შენი პატივმცემელი ვაჟა.



ვაკე-ფშაველა (მორცხვად): შემნიშნეს...  
 (მეგობრული შარქი მის იუბილესთან დაკავშირებით, გან. „საქართველო“  
 1915 წ. № 1).

დაკრძალვა, ამიტომ დილა 30 აპრილისათვის გადაიდო. დაწვრილებითი პროგრამის შესამუშავებლად 22 აპრილს შედგა საგანგებო თათბირი. თათბირმა სასურველად სცნო, 30 აპრილის ნაცელად, შაბათს, 23 მაისს, ქართულ სიტყვა-კაზმულ საზოგადოების ხელმძღვანელობით გამართულიყო სალიტერატურო საღამო, ფართო პროგრამით, რომ დიდი პოეტის პატივისცემა უფრო ღირსეულად ყოფილოყო აღნიშნული. საღამოს ხელმძღვანელებად გამოყოფილი იყვნენ ვალ. გუნია და კ. მაყაშვილი. საღამოს პროგრამის განსახორციელებლად მოწვეული იყვნენ მხატვრები, ხელოვანნი, მწერლები, მემუსიკე-მომღერლები და სხვანი. საღამო გაიმართა სახაზინო თეატრში, რომლის შესახებაც „სახალხო ფურცელი“ შემდეგსა სწერდა:

„რვა საათი ჯერ არ იყო, რომ თეატრში ტევა აღარ იყო და მრავალი პატივისმცემელი პოეტისა გულდაწყვეტილი ბრუნდებოდა სახლში. საღამო 3 განყოფილებისაგან შესდგებოდა, პირველ განყოფილებაში „ვაჟა-ფშაველას“ შესახებ წაკითხული იქნა მოხსენება, რომელმაც 1 საათს გასტანა. მეორე განყოფილებაში შაგერჩიშვილმა და ივ. სარაჯიშვილმა შესარულეს რომანსები, ხოლო კავსაძის ხორომ ქართული ხმები. ყველა ესენი საზოგადოებამ ტაშით დააჯილდოვა. განსაკუთრებით ივ. სარაჯიშვილი, რომელმაც შესარულა: ნანა, ურმული და სხვა.

ამავე განყოფილებაში თაგუნამ წაიკითხა თავისი იუმორისტული ნაწარმოები, რომელსაც სათაურად ჰქონდა „როგორ გავითქვი სახელი ვაჟა-ფშაველას საღამოზე“. ავტორი ტაშისცემით იქნა დაჯილდოებული.

ამავე განყოფილებაში სცენაზე გამოაჩნდნენ ქარ. სიტყვა-ფაზმული საზოგადოების თავმჯდომარე გრ. რცხილაძე, ამავე საზოგადოების წევრები, საღამოს მონაწილენი და სხვ.

პირველად წაკითხული იქნა ვაჟას ლექსი.

ამის შემდეგ, სცენაზე შემოპყავთ თვით მიზეზი ღლესასწაული-სა ვაჟა-ფშაველა, რომლის გამოსვლასაც საზოგადოება გულის ფანც-ქალით მოელოდა. პოეტს მოსდევდნენ დრამატურგი ი. გედევანი-შვილი, საღამოს გამმართველი მსახიობი ვალ. გუნია და ახალგაზრდა მეოსანი ს. აბაშელი.

ასტყდა დაუსვენებელი ტაში, როცა აღფრთოვანებული საზოგადოება დამშეიდდა, პოეტმა ვაჟა-ფშაველამ წაიკითხა რამდენიმე თავისი ლექსი. პოეტის დეკლამაციამ ყოველს მოლოდინს გადააჭარბა და ხალხი უფრო მეტს აღფრთოვანებაში მოიყვანა. დასასრულ სოლ. ყუბანეიშვილი. ვაჟა-ფშაველა

გრ. რცხილაძემ პოეტს სიტყვა-კაზმულ საზოგადოების სახელით დაფინის გვირგვინი შიართვა ზედ წარწერით: „ქართველ პოეზის არწივებ“ და უთხრა სიტყვაც („სახ. ფურცელი“ № 290).

სალამოს გათავებისას,—გადმოგვცემს აღ. რაზიკაშვილი,—ვაჟას ორთაჭალის ბალში კარგი ვახშამი გაუმართეს, საღაც ეს ავადმყოფი კაცი მარტო ჩოხის ამარად წაეყვანათ. ვახშმიდან ის შეორედლეს დაბრუნდა. ჩემს შეკითხვაზე რად დაიგვიანე-მეთქი, გაჯავრებულია მათხრა: „წამათრიეს, კაცო, მაგ ოჯახქორებმა ეს ავადმყოფი კაცი და უარესად გამაციესო“.